„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან ცაბაძე

ასპინძის მუნიციპალიტეტი * ივნისი. 2017 * (4)31

26 მაისი სამეიმოდ აღინიშნა

უჩვეულოდ მზიანი დღე გათენდა 26 მაისს. ხანგრძლივი უამინდობის მიუხედავად, სწორედ ამ დღეს, დილიდანვე, გამოიდარა და, მართლაც, საზეიმო განწყობა შეიქმნა. საქართველოს დამოუკიდებლობის დღის საზეიმოდ აღნიშვნისათვის დაბის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა თავი მოიყარა კულტურისა და დასვენების პარკში. ვის არ ნახავდით აქ – მოხუცსა თუ ახალგაზრდას, ქართულ ეროვნულ ფორმაში გამოწყობილ გოგონებსა თუ ვაჟებს.

ღონისძიების დაწყების წინ საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული გმირების სულების მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა **მამა ზაქარიამ**. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა და მოწვეულებმა ცოცხალი ყვავილებით შეამკეს გმირთა მემორიალი და პატივი მიაგეს მათ ნათელ ხსოვნას.

საზეიმო ღონისძიება გახსნა ახალგაზრდა დეკლამატორმა, ასპინძის საჯარო სკოლის მოსწავლემ **მარი ბერიძემ**, ხოლო მუნიციპალიტეტის გამგებელმა **ლევან ცაბაძემ** მხურვალედ მიულოცა დამოუკიდებლობის დღე მოწვეულ სტუმრებს და მანვე

სიგელებითა და მედლებით, მუნიციპალიტეტის სახელით, საზეიმოდ დააჯილდოვა სოფელ ოშორისა და აწყვიტის საჯარო სკოლების ფრენბურთელთა და ჩოგბურთელ მოსწავლე გოგონათა გუნდები, რომლებმაც რეგიონულ ჩემპიონატში გაიმარჯვეს და რესპუბლიკურ ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

შემდეგ სცენაზე მიწვეული იქნა ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფები – ვალერიან მაღრაძის სახელობის სამუსიკო სკოლის მოსწავლეები; ქორეოგრაფიული ანსამბლი „სამცხე“ (ხელმძღ. **ჯაბა ასპანიძე**) და ფოლკლორული ანსამბლი „წუნდა“ (ხელმძღ. **გია ტივაძე**), რომლებმაც მაღალ პროფესიულ დონეზე შეასრულეს თეატრალიზებული თითოეული ქორეოგრაფიული თუ მუსიკალური ნომერი; ასევე ასპინძის საჯარო სკოლის ნორჩმა დეკლამატორებმა – **მთვარისა ხმალაძემ, მარი ბერიძემ, მარი კაპანაძემ** და ძმებმა **ნიკოლოზ და ალეკო დიაკონიძეებმა** შესანიშნავად შეასრულეს ქართველი პოეტების მიერ სამშობლოს თემატიკაზე შექმნილი ლექსები.

სიტყვაში გამოვიდა ასევე გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორი **ავთანდილ ბერიძე**, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დამოუკიდებლობის დღე და სცენაზე მოიხმო საზეიმო ღონისძიებაზე სპეციალურად ჩამოსული ახალგაზრდა მწერალი და პოეტი, რამდენიმე სქელტანიანი წიგნის ავტორი **იროდი ასანაშვილი**, რომელიც ამჟამად მესხეთზე სპეციალურ პოეტურ ციკლს ამზადებს. მან გულითადად მიულოცა ასპინძელებსა და სრულიად საქართველოს უდიდესი ეროვნული დღესასწაული – დამოუკიდებლობის დღე; ამავე დროს ახალგაზრდა შემოქმედს ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის გადაეცა საქართველოს მწერალთა კავშირის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ორგანიზაციის სერტიფიკატი.

საზეიმო ღონისძიებამ, რომელიც შესანიშნავად იყო ორგანიზებული მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახურის (უფროსი **მაკა ბერიძე**, რეჟისორი **მარეხ დათაშვილი**), გვიანობამდე გასტანა და განუსაზღვრელად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე.

მარეხ დათაშვილი,
ასპინძის თავისუფალი თეატრის რეჟისორი

კონსტიტუციის ახალი რედაქცია ასპინძელების შეფასებით

როგორც ვიცით, საქართველოს კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით მწვავე დისკუსია მიმდინარეობს. არ დარჩენილა არც ერთი მხარე, სადაც მის განხილვაში, მოსახლეობის ფართო მასებმა არ მიიღო მონაწილეობა, თუმცა, მოსახლეობის დიდ ნაწილს ჯერ კიდევ ბევრი აქვს სათქმელი ამასთან დაკავშირებით. ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში რამდენიმე მათგანისთვის მიგვეცა საშუალება გამოეხატა თავისი მოსაზრებები:

კითხვა პირველი:

საქართველოს პრეზიდენტი საყოველთაო, პირდაპირი კენჭისყრით უნდა აირჩეს თუ პარლამენტის მიერ – ე.წ. ხმოსნების მიერ?

კითხვა მეორე:

კონსტიტუციით უნდა აიკრძალოს თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო მიწების მიყიდვა?

კითხვა მესამე:

კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროს თუ არა – ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა?

გიორგი ზედგინიძე,
შპს „ძველის“ იურისტი

– მიწები არ უნდა იყიდებოდეს უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე. კონსტიტუცია კი ამის გარანტი უნდა იყოს. მე, როგორც ვიცი, მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში, აკრძალულია მიწის უცხოელებზე გაყიდვა, მიწით სარგებლობის მსურველებს კი გარკვეულ პირობებს უყენებენ, – მათ მხოლოდ მიწის დროებითი გამოყენების უფლებები აქვთ. თუ ვინმე ინვესტორი შემოვა და რაღაცის გაკეთებას მოისურვებს, როგორც უცხოეთშია, აქაც, შეიძლება დროებით სარგებლობაში გადაეცეს მიწა, ისიც, – იჯარით. მეც, როგორც საქართველოს ***ერთ-ერთი რიგითი მოქალაქე, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ მიწების მათზე გასხვისებისა.*** საქართველო ***ისედაც მცირე მიწიანი ქვეყანაა – ჯერ რაც გაგვაჩნია, დიდი ნაწილი მთაგორიანი, კლდოვანი ადგილებია, ნაწილი – ხეობებს უკავია, ნაწილი – გამოუსადეგარია. თუ კარგად დავაკვირდებით,*** უცხოელები ***მხოლოდ ნაყოფიერი მიწებით არიან დაინტერესებულები და ისიც თუ გავყიდეთ, რაღა დაგვრჩება? გვიფიქრია კი ამაზე? ესეც არ იყოს, ამით კატასტროფულად შეიცვლება საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა და მერე რა პასუხს გავცემთ ჩვენს მომავალ თაობებს?***

– ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. ეს, თუნდაც ეკლესიურად, ეწინააღმდეგება ჩვენს ადათ-წესებს. არასოდეს გამიხარდება, რომ ჩემმა შვილმა „რძლად“ მომიყვანოს „ვაჟი“, ან იგი სხვის ოჯახში შევიდეს „რძლად“. მარტო ეს არ არის მთავარი, – უბედურება ისაა, რომ როდესაც ორი მამაკაცი დაქორწინდება და შვილად აიყვანენ ბავშვს, ისიც არასრულფასოვან ადამიანად ჩამოყალიბდება. მე მარტო საქართველოში კი არა, წინააღმდეგი ვარ მთელ მსოფლიოში ასეთი ქორწინების დაკანონების, ეს ყოვლად მიუღებელია, ყოველგვარ ზნეობრივ ზღვარს სცილდება! მე ასე მესმის და ჩემი პოზიცია არასოდეს არ შეიცვლება. უბედურებაა, როდესაც უმრავლესობას უმცირესობის ინტერესების გათვალისწინებას აიძულებენ, ამიტომაცაა საზოგადოება კატეგორიული და მეტ სიფხიზლეს იჩენს, – კონსტიტუციური გარანტია მიიღონ ერთსქესიანთა ქორწინების აკრძალვაზე. მეც იმ აზრზე ვარ, რომ – ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა.

– ჩემი აზრით, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს თუ პარლამენტი აირჩევს პრეზიდენტს. პარლამენტარები ხომ ჩვენი არჩეულები არიან, მე თუ ვენდობი პარლამენტარს და ხმა მივეცი, რომ იყოს ჩემი დეპუტატი, იმის უფლებაც უნდა მივცეთ, რომ პარლამენტმა აირჩიოს პრეზიდენტი. ჩვენ თუ გვინდა, რომ საპარლამენტო რესპუბლიკა ვიყოთ, ეს მოდელი სრულიად მისაღებია. განა წინა ხელისუფლების დროს არ გადაწყდა, – პრეზიდენტს ფუნქციები რომ შეზღუდვოდა? ახლა რა



საჭიროა ამაზე დავა? ისედაც დაიღალა ხალხი ყოველწლურად ჩატარებული არჩევნებით. ამ პატარა საქართველოს ნუთუ სჭირდება ორი მთავრობა, – ამ შემთხვევაში – ხელისუფლების ორი ინსტიტუტი (პრემიერის და პრეზიდენტის)?! სამ მილიონიან ქვეყანაში ორხელისუფლებიანობა არ გვჭირდება. ასევე ბევრია სამინისტროებიც – თუ სწორად მახსოვს, თვრამეტი სამინისტროა საქართველოში. უცხოეთის განვითარებულ ქვეყნებშიც კი სამინისტროთა რაოდენობა ათ ერთეულსაც არ აღემატება. ახლა ავიღოთ უწყებრივი დაწესებულებებიც... ესენიც გადაჭარბებულია! ეს ყველაფერი მშრომელი ადამიანის ჯიბეს აწვება. ამიტომაა, რომ შორს ვერ მივდივართ. ამას ემატება არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებიც ეგრერიგადაა მომრავლებული, ამას ასევე ემატება ორ ასეულამდე პოლიტიკური პარტია და რა გამოდის? პატარა საქართველო მაკონტროლებელი ორგანოების მარწუხებიდან ვერ გამოდის და, ალბათ, თუ ასე გაგრძელდა, ვერც ვერაფერს გავაკეთებთ და საქმეც ვერასოდეს წავა წინ. განა პარადოქსების ქვეყანა არა ვართ? – ისედაც გაღატაკებული ქვეყანის პრეზიდენტს სუპერსახელმწიფოს შესადარი უზარმაზარი აპარტეიდები რომ აქვს (მისი მშენებლობა ხომ იმდენივე დაჯდა, რამდენიც ნატოს ახალი შტაბბინა). რაში სჭირდება ქვეყანას პარლამენტის ორი შენობა სხვადასხვა ქალაქებში, კატასტროფულად გაზრდილი მათი კომუნალური, სატრანსპორტო, სამივლინებო თუ სხვა ხარჯები. ან ამდენი დეპუტატი გვჭირდება?

დიმიტრი მაღრაძე,
პენსიონერი, განათლების
განყოფილების ყოფილი გამგე

– კონსტიტუციით მიწის უცხოელებზე გაყიდვის აკრძალვა არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. სხვა სადირექტივო კანონებით შეიძლება მისი დარეგულირება, ეს გამოიწვევს კონსტიტუციის ზედმეტად დატვირთვას.

– პრეზიდენტი უმჯობესია, საქართველოს პირობებში, ხალხმა აირჩიოს. ჩვენ არა ვართ განვითარებული ქვეყანა, რომ პარლამენტის, პრემიერის საპირწონე გამაწონასწორებელი ბერკეტები გაგვაჩნდეს, ამიტომ პრეზიდენტი უნდა აირჩეს პირდაპირი წესით. ხალხის მიერ არჩეულს კი მეტი გავლენა და პასუხისმგებლობა ექნება.

– ერთსქესიანთა ქორწინების კონსტიტუციით აკრძალვა ასევე არ ჯდება ქართულ მენტალიტეტში, ეს საკითხიც ისე უნდა განისაზღვროს, რომ მისი კონსტიტუციით აკრძალვა არ დაგვჭირდეს.

გოდერძი ველიჯანაშვილი,
სპორტის ოსტატი. მწვრთნელი,,
საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი

– თუკი საქართველო საპარლამენტი რესპუბლიკაზე გადადის, სრულიად შესაძლებელია, რომ პარლამენტმა აირჩიოს პრეზიდენტი, თუ ნამდვილად გვინდა საპარლამენტო რესპუბლიკა ვიყოთ, საპარლამენტო ქვეყნებში როგორცაა, პრეზიდენტიც პარლამეტის მიერ უნდა აირჩეს.

– მიწები უცხოელებზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაიყიდოს, რადგან ამას თუ დავუშვებთ, საქართველო დღეს თუ ხვალ აღარ იქნება. ჩვენ დროს, როდესაც მე პარლამენტარი ვიყავი, მაშინაც შემოვიდა ასეთი საკითხები განსახილველად, განსაკუთრებით, შადმან ვალავი აქტიურობდა; მაშინაც პარლამენტარების აბსულუტური უმრავლესობა წინააღმდეგი წავიდა. უცხოელებზე მიწების გაყიდვა ასევე არ შეიძლება კიდევ იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ქვეყანა ჯერ კიდევ გაურკვეველ ვითარებაშია, მოსახლეობის დიდ უმრავლესობა უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობაშია, გაჭირვებული ქართველი კი ამის გამო ნებისმიერ დროს, რაღაც ორი კაპიკის გამო, სიამოვნებით გაყიდის თავის მამამარჩენალს – მიწას და სასიცოცხლო არტერიას თავისივე ხელით თვითონვე გადაიჭრის.

– ერთსქესიანთა ქორწინებას რაც შეეხება, მე ვფიქრობ,

დასასრული მე–2 გვ.

ჩვენი მოვალეობა თანადგომაა

ბოლო რამდენიმე წელია მნიშვნელოვანი მუშაობა მიმდინარეობს მოსახლეობისათვის უკეთესი ცხოვრების პირობების შექმნისათვის, თუმცა, გასაკეთებელი იმდენად ბევრია, რომ მის მოგვარებას ჯერ კიდევ დიდი დრო სჭირდება. გატარებულ გლობალურ ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია მაღალმთიანობის პროგრამის განხორციელება, რამაც მნიშვნელოვანი შეღავათები მისცა მოსახლეობას. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ეს პროგრამა ქვეყნის რეგიონული განვითარების პოლიტიკის ნაწილია, რომელიც მიმართულია საქართველოს მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისაკენ და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებთა სოციალ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისაკენ. ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი, სარგებლობენ განსაზღვრული შეღავათებით, რამაც საშუალება მისცა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ თითოეულ მოქალქეს მიიღოს მეტი სარგებელი, ვიდრე ამას სხვა დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებნი ღებულობენ. უპირველესად აღსანიშნავია, რომ „დემოგრაფიული განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა“, რომელიც ითვალისწინებს ახალდაბადებულ ბავშვთა ფულად დახმარებას, ყოველთვიურად ერთი და ორი წლის განმავლობაში (პირველი, მეორე და ყოველი მომდევნო შვილების გაჩენისას).

მუნიციპალიტეტის გასული წლის ბიუჯეტის მიზნობრივი მოქალაქეთა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის სრული მოცულობა განსაზღვრული იყო 178 400 ლარით. მათ შორის: ერთჯერადი კვების უფასო სასადილო დაფინანსდა 35 ათასი ლარით და იგი ემსახურებოდა 50 ბენეფიციარს.

მოსახლეობისათვის დიდი შეღავათია სამედიცინო მომსახურებაში ფინანსური დახმარება, კერძოდ, ქირურგიული ოპერაციების ჩატარებაში. პროგრამის მიზნობრივი მიმართულებაა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე პირთა ქირურგიული ოპერაციის ღირებულების თანადაფინანსება, მათ შორის თითოეული ბენეფიციარის ოპერაციის სრული ღირებულების 50%, არაუმეტეს 1500 ლარისა.

ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევის პროგრამის, ან კერძო სადაზღვევო პოლისის არმქონე მოქალაქის თანადაფინანსება ასევე 50%-ის ოდენობით, არაუმეტეს – 1500 ლარისა. აღნიშნული მოქალაქეების თანადაფინანსება, რომელთა ოპერაცია ფინანსდება არასრულად (70-80%-ით) და დანარჩენი თანხა აღემატება 500 ლარს, ის მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველ ერთიან ბაზაში და მათი სარეგისტრაციო ქულა 57 ათასია, მის ქვემოთ პაციენტის გადასახდელი თანხა ფინანსდება სრულად, არაუმეტეს 1500 ლარისა.

თანადაფინანსება ხორციელდება ჯანმრთელობის ცნობის (ფორმა 100-ის), სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანგარიშ-ფაქტურის, კალკულაციის, პაციენტის პირადობის მოწმობის ასლისა და დამატებითი სადაზღვევო კომპანიის მიერ განერილი საცნობარო ხასიათის ინფორმაციის საფუძველზე.

გასულ წელს ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწია 88 მოქალაქეს და მათზე გაიცა 61 831 ლარის ფულადი დახმარება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ვეტერანებისა და „იძულებით გადაადგილებულის“ სტატუსის მქონე გარდაცვლილი მოქალაქის სარიტუალო ხარჯების დაფარვა კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმატივების შესაბამისად ომის თითოეულ ვეტერანებზე გაიცა 250 ლარი, ხოლო „დევნილებზე“ – 200 ლარი.

სულ ამ მიზნით გარდაცვლილ ვეტერანებზე გაცემულია 1000 ლარი.

სხვა სოციალური ხარჯი გაიცა 60000 ლარი. კერძოდ, პროგრამის მიზნობრივი მიმართულებაა რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახების, მეორე მსოფლიო ომის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის და სხვა ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა, მკვეთრად გამოხატული მხედველობაშეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირველი ჯგუფის ინვალიდთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა, ხანდაზმულთა, დედ-მამით ობოლ არასრულწლოვანთა და „სხვა გამონაკლის შემთხვევებში“ მოქალაქეთა ერთჯერადი მატერიალური დახმარება (შემთხვევის სიმძიმიდან გამომდინარე), კერძოდ – მრავალშვილიანი ოჯახებისთვის (არასრულწლოვანი ოთხი {მათ შორის 23 წლამდე სტუდენტი და მოსწავლე} და მეტი შვილი) – გაიცა 13000 ლარი;

საბიუჯეტო წლის დასაწყისისათვის პროგრამის მონაწილედ დარეგისტრირებულია 51 მრავალშვილიანი ოჯახი, რომლებისთვისაც გამოიყო 18 000 ლარი და ამჟამად მათზე გაცემულია 11500 ლარის დახმარება. მეორე მსოფლიო ომის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მებრძოლ დაინვალიდებული ვეტერანებისთვის – 5000 ლარი;

საბიუჯეტო წლის დასაწყისისთვის პროგრამის მონაწილედ დარეგისტრირებულ მეორე მსოფლიო ომის შვიდ და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მებრძოლ 12 დაინვალიდებულ ვეტერანებზე უკვე გაიცა 35 000 ლარის დახმარება, ხოლო ტერიტორიული მთლიანობისა და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე დაღუპული ოჯახებისათვის – 1600 ლარი; მკვეთრად გამოხატული მხედველობის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირების ოჯახებისთვის გაიცა 3000 ლარის დახმარება.

ასევე პირველი ჯგუფის მხედველობით ინვალიდის დარეგისტრირებული 17 ოჯახიდან 13 ბენეფიციარის ოჯახზე გაცემულია 1950 ლარის დახმარება.იძულებით გადაადგილებულ პირებზე – 400 ლარი; ხანდაზმულთათვის (ასი და ას წელზე უხნესზე – 2 პირი) გაიცა 800 ლარი; დედ-მამით ობოლ არასრულწლოვნებზე, ასევე – 800 ლარი; შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე არასრულწლოვათათვის გაცემულია 2500 ლარის დახმარება. სხვა გამონაკლისი შემთხვევიბისთვის – 33500 ლარი.

ქვეპროგრამის მიზნობრივი მიმართულება „მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე პირის, მოქალაქის, რეგისტრირებულ იმ ცალკეულ მოქალაქეთა გამონაკლისის წესით“ თანადაფინანსება, რომელთაც ფინანსური დახმარების გაწევის აუცილებლობის დასადასტურებლად წარმოდგენილი აქვთ ტერიტორიული ნიშნით წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ოფიციალური პირების (საკრებულოს დეპუტატისა და სოფლის წარმომადგენლის) წერილობითი შუამდგომლობა, შესაძლო ფინანსური დახმარების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1500 ლარს. დახმარება გაიწევა წელიწადში ერთხელ. ასევე მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მქონე მოქალაქეებზე სადიაგნოსტიკო გამოკვლევებისა და მედიკამენტების შეძენისას ფინანსური დახმარება გაიცემა წელიწადში ერთხელ, არაუმეტეს 1500 ლარისა (პაციენტის მიერ თუ გადახდილია 500 ლარიდან 1500 ლარამდე – 50%-ით; 1500 ლარიდან 3000 ლარამდე – 1000; ხოლო 3000 ლარზე მეტის შემთხვევაში – 1500 ლარი. დაფინანსება განხორციელდება გამგებლის წარმომადგენლის შუამდგომლობის, ჯანმრთელობის ცნობისა (ფორმა 100) და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

აღნიშნული დახმარება ვრცელდება ისეთ დაავადებებზე, როგორიცაა– ონკოლოგიური, ჰეპატიტი, გულსისხლძარღვთა დაავადების პათოლოგია და ინგეკციის შემდგომი პერიოდი.

გასულ წელს ამ პროგრამით დაფინანსებულია 33 ბენეფიციარი და მათზე გაიცა 20111 ლარის დახმარება.

აქვე აღსანიშნავია, რომ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს ყოველწლიურად – 9 მაისს გადაეცემათ 100 ლარიანი სასაჩუქრე პაკეტი.

რაც შეეხება 2017 წელს. ამ დანიშნულებებისათვის ბიუჯეტით გამოყოფილია 186 ათასი ლარი. მათ შორის:

– ერთჯერადი კვების უფასო სასადილოსათვის 50 ბენეფიციარზე – 35000 ლარი (უკვე დახარჯულია 6293 ლარი);

– ქირურგიული ოპერაციების თანადაფინასებისათვის – 55000 ლარი (უკვე გაცემულია 26 ბენეფიციარზე 17469 ლარი);

ახალდაბადებულ ბავშვიან ოჯახებზე 35000 ლარი (36 ბენეფიციარზე უკვე გაიცა 9250 ლარი);

– ვეტერანთა და დევნილთა სარიტუალო ხარჯი გამოყოფილია 1000 ლარი.

სხვა ხარჯი:

– მრავალშვილიანი ოჯახებისათვის გამოყოფილია 60000 ლარი (გაცემულია 32 ბენეფიციარზე 13800 ლარი);

– მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის წელს მათზე გამოყოფილმა თანხამ თითოეულზე 1000-1000 ლარი შეადგინა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მებრძოლ ომისა და შეიარაღებული ძალების ინვალიდთათვის – 250-250 ლარი, დაღუპულთა ოჯახებისათვის – 300-300 ლარი;

– იძულებით გადაადგილებულებზე – 500 ლარი;

– ხანდაზმულებზე (2) – 500-500 ლარი;

– დედ-მამით ობოლ არასრულწლოვანთათვის (2) – 500-500 ლარი;

– შშს-ის მქონე არასრულწლოვანთათვის (24) – თითოეულზე – 200-200 ლარი;

– სხვა გამონაკლისი შემთხვებისთვის – 21100 ლარი;

ამდენად: მუნიციპალიტეტის გამგეობა შესაძლებლობის ფარგლებში, მზადაა გაუწიოს შესაბამისი დახმარება ეკონომიკურად შეჭირვებულ თითოეულ მოქალაქეს, რათა მაქსიმალურად შეუმსუბუქოს მათ ცხოვრების პირობები.

ქეთევან მამუკაშვილი

კონსტიტუციის ახალი რედაქცია ასპინძელების შეფასებით

რომ კონსტიტუციაში ამის ასახვა არ შეიძლება, კონსტიტუციაში ასეთი საკითხები არ იწერება, კონსტიტუცია უფრო გლობალურ საკითხებს მოიცავს. თემიდან ცოტაცს გადავუხვევ, – იგივე ევროკავშირთან მიმართებით ჩვენი პოზიცია კონსტიტუციით განვამტკიცოთ, ეს არის არაპროფესიული მიდგომა, რადგან, რომ გვეთქვა 30 წლის წინათ, საბჭოთა კავშირთან უნდა ვიყოთ გადაბმულიო, ხომ არ შეიძლებოდა? ხომ ვხედავთ, როგორ შეიცვალა მსოფლიო? დღეს არსებობს საბჭოთა კავშირი? არ არსებობს! ასევეა ამ შემთხვევაშიც. რეალობა თუ გვინდა, რომ ვიცოდეთ ,ისაა, რომ ევროკავშირი შეიძლება ხვალ-ზეგ, საერთოდ, აღარ იყოს, დაიშალოს, ამიტომ საკითხიც ასე არ უნდა დავსვათ. ბევრი რამ მაინც ორგანულ კანონებს და აქტებს უნდა დავუქვემდებაროთ.

ციცინო კურცხალია,

პენსიონერი, ყოფილი კოლმეურნე

– მიწა არ უნდა გაიყიდოს უცხოელებზე იმიტომ, რომ საქართველო ხომ ყოფილა ერთ დროს დიდი ქვეყანა? დღეს ძალიან გვიჭირს ეკონომიკურად, სულიერად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოლოდინი მაინც გვაქვს, რომ ახლო მომავალში გამოვალთ სიდუხჭირიდან, გაიზრდება საქართველო, ისევ მომრავლდებიან ქართველები და, მერე, გვეყოფა კი მიწები? ჩვენი მომავალი თაობები რაღას იზამენ?

კიდევ ერთი რამ მაკვირვებს ჩვენი პოლიტიკოსებისა და ცნობილი ადამიანებისგანაც, – 85 წლის გლეხი ქალი ვარ, რომელმაც თოხისა და ბარის მეტი არაფერი ვიცი და განათლებაც ვერ მივიღე და მე, ის თუ ვიცი, მტერი რომ შემოგვესეოდა და ძალით გვგლეჯდა ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენი წინაპრები სისხლს რომ ღვრიდნენ მისი გადარჩენისთვის, დღეს რა გვემართება? ნუთუ არაფერი ქართული არ ადარდებთ ამათ? რატომ, რისთვის, ვისთვის ვყიდით ჩვენი წინაპრების სისხლითა და ხორცით გაპოხიერებულ ჩვენს წმინდა მიწა-წყალს? იარაღით შემოსული მტერი და ფულით შემოსული „მოკეთე“ ერთი და იგივე არა არის?!!! უწინ, ვინც ყიდდა ქართულ მიწებს, ხომ იყვნენ ნამდვილი მოღალატეები? ახლა რატომ ვეღარ ვპოულობთ მსგავსებას მათ შორის? ომით დაიპყრობ ქვეყანას თუ ფულით, რა მნიშვნელობა აქვს ამას? ნებით რატომ უნდა ჩავაბაროთ საქართველო სხვას, – გადამთიელს. რა გვემართება, ახალგაზრდებო, – ამით ხომ საქართველოს მომავალს ძირს ვუთხრით და საქართველო აღარ იარსებებს ქართველებით? თავს რატომ ვიკლავთ ჩვენი ნებით? ამიტომ მიმაჩნია, რომ სხვა გზა რომ არა გვაქვს, კონსტიტუციით უნდა აიკრძალოს მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გაყიდვა.

– ერთსქესიანთა ქორწინება რაღა მოდაა ეს?. ეგ როგორ შეიძლება, ქალს უნდა ეტყობოდეს ქალობა, კაცს კაცობა. ვის რაში ჭირდება ასეთი ოჯახების შექმნა? უნდა იყოს ტრადიციულად ქალისა და მამაკაცის მიერ შექმნილი ოჯახი. ასეთი პრინციპების გატარება არც ჩვენს გამრავლებას დააყრის ხეირს და ეს იქნება ქართველების განადგურებისთვის ხელისშემწყობი პირობა. ამიტომ კონსტიტუციაში უნდა ჩავწეროთ, რომ ოჯახი არის ქალისა და კაცის ერთობა.

– პრეზიდენტი ხალხმა უნდა აირჩიოს, იმიტომ რომ იმ პარლამენტში ერთი და იგივე აზრის ხალხია და მთელი ერის აზრს ვერ გამოხატავენ.

ედიშერ ნარიმანიძე,

ლექტორი

ქართული მიწების მიყიდვა უცხოელებზე უნდა აიკრძალოს კონსტიტუციით, იმიტომ, რომ ქართული მიწა ეკუთვნის ქართველ ხალხს, მის მომავალს.

– პრეზიდენტის არჩევა უნდა მოხდეს ხალხის მიერ, პირდაპირი არჩევით.

– ერთსქესიანთა ქორწინება საქართველოში არ უნდა იქნეს დაშვებული, კონსტიტუციაში უნდა იყოს ჩაწერილი, ქორწინება როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობა.

ვახტანგ ველიჯანაშვილი,

პენსიონერი, სამეურნე დარგის ყოფილი მუშაკი

– მიწები, ჩემი აზრით, არ უნდა გაიყიდოს უცხოელებზე, უცხოელებს თუ მიწა უნდათ, საქართველოში მცხოვრები მოქალაქეებისაგან იჯარით უნდა აიღონ, ისიც, მცირე დროით. მიწა ქართველი ხალხის საკუთრებაა და მას ეკუთვნის.

– ხალხმა უნდა აირჩიოს პრეზიდენტი. ხალხის აზრი მაინც სხვა არის. იმ სამასი კაცის აზრი მთელი ქართველი ხალხის აზრი არაა.

– სასტიკად დაუშვებელია ერთსქესიანთა ქორწინების დაშვება ისეთ ტრადიციულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. ძნელია უცხოეთიდან თავს რომ გვახვევენ თავიანთთვის მისაღებ პოზიციებს. ჩვენ დემოგრაფიულად უკიდურესად საგანგაშო მდგომარეობაში ვართ და ეს კიდევ უფრო დააჩაქრებს ჩვენს განადგურება-გადაშენებას. ჩვენი ადათ-წესებიდან გამომდინარე, არ უნდა დავუშვათ თუნდაც ერთი პროცენტის ალბათობა, რომ დავაკანონოთ ერთსქესიანთა ქორწინება. ჩემო დალოცვილო ქართველებო – თითოეული, ცალ-ცალკე აღებული მილიარდნახევრიანი ჩინეთი და ინდოეთი ამას არ უშვებს თავის ქვეყნებში და ჩვენ რა გვემართება, განა სამმილიონიანი ქვეყანა გაუძლებს ამ შემოტევას? კონსტიტუციაში აუცილებლად უნდა ჩაიწეროს: ოჯახი ესაა ქალისა და მამაკაცის ერთობა. სხვაგვარად წარმოუდგენელია ჩვენი ცხოვრება. ვისაც როგორ უნდა, მერე, კონსტიტუციურად რომ განვიმტკიცებთ ქორწინების არსს, ისე წარმართოს თავისი ცხოვრება, ხალხს კი ნუ შეეხებიან. ეს უკვე თავიანთი საქმეა, მათი პირად ცხოვრებაში ვერავინ ვერ ჩაერევა.

როზერტ შეშაბერიძე

პედაგოგი

– ოდითგან, ქართველი ხალხი, გარეშე მტრებთან განუწყვეტელ ომებში იყო. იგი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იცავდა თავის სამკვიდრებელს – მიწას.

მტერს სისხლის ფასად ერთ გოჯსაც არ უთმობდა,

დღეს მრავალ უცხოელს თვალი უჭირავს ჩვენს მიწა-წყალზე.

ჩემი აზრით უცხოელებზე მიწა არ უნდა გაიყიდოს, თუმცა, შეიძლება, მათზეც გაიცეს იჯარით სასოფლო-სამეურნეო მიწა, მაქსიმუმ ათი წლით და არა 49 წლით, ან მუდმივად.

– მე ვერ ვხედავ ანტიდემოკრატიულობას იმაში, თუ პრეზიდენტი აირჩევა პარლამენტის მიერ, რადგან პარლამენტი ხომ ხალხის მიერაა არჩეული.

– კონსტიტუციაში ნამდვილად უნდა ჩაიწეროს, რომ ოჯახი იქმნება ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით, რადგან ოჯახი მაშინ არის სრულყოფილი, თუ იქ იზრდებიან ბავშ-

ვები. ჩვენს ქვეყანაში ოჯახი ადრე რამდენიმე თაობისაგან შედგებოდა და იქ იზრდებოდნენ ურთიერთპატივისცემით. შრომა ერთობლივი იყო, უფროსებისგან სწავლობდნენ და დღეს, ვინც ერთსქესიანთა ქორწინებას გვთავაზობს, არ ვეთანხმები, ეს არავითარ დემოკრატიულობას არ გამოხატავს. არც ანტიდისკრიმინაციულია ჩემნაირების განცხადებები ამდაგვარ საკითხებზე. ოჯახში დედ-მამა უნდა ზრდიდნენ შვილებს და არა – ე.წ. „დედები“ და „მამები“, როგორც ამას უცხოელთა მიბაძვით გვთავაზობენ დემოკრატიის მამები.

გამოკითხვა ჩაატარა
ავთანდილ ბერიძემ

სასწავლო წელი შეჯამდება

2016-2017 სასწავლო წელი ნაყოფიერი იყო ჩვენი სკოლებისთვის. რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 18 საჯარო სკოლა 1541 მოსწავლით და 393 პედაგოგით. მათგან 12 საჯარო სკოლა – საშუალო საფეხურის; 6 – საბაზო საფეხურის; 1 – სოფელ დამალის საჯარო სკოლა, – არაქართულენოვანია /სომხური/. არ ყოფილა სასწავლო პროცესის შეფერხება გათბობისა თუ სხვა მიზეზით. სკოლები სრულად არის აღჭურვილი ინვენტარით, სახელმძღვანელოებით, თვალსაჩინოებითა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის საჭირო მასალებით. 133 პირველკლასელმა მიიღო ახალი კომპიუტერი. კომპიუტერები გადაეცათ მათ დამრიგებლებსაც. სკოლების ინფორმირებisა და პროფესიული განვითარებისათვის საჭირო მასალებით უზრუნველყოფას ემსახურება რესურსცენტრის ბიბლიოთეკა.

ყურადღებას ვაქცევთ ინკლუზიის პროგრამის განხორციელებას. დღეისათვის მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასებულია ჭობარეთის, ოშორის, რუსთავის, მირაშხანის, დამალის, ასპინძისა და აწყვიტის სკოლების 35 სსსმ მოსწავლე.

სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ 2017-2018 სასწავლო წლის დაწყებამდე განხორციელდება დაბა ასპინძის, სოფელ ოშორის, ნაქალაქევის და აწყვიტის საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები, დაგეგმილია ახალი სკოლის მშენებლობა სოფელ ორგორაში.

წლის განმავლობაში სკოლები აქტიურად მონაწილეობდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებულ სხვადასხვა პროგრამებსა და კონკურსებში, ეროვნულ სასკოლო ოლიმპიადაში, სპორტულ და სპორტულ-შემეცნებით ოლიმპიადაში, ორგანიზება გავუწიეთ საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ექსკურსიებს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პოლიციის აკადემიაში, ასევე პარლამენტსა და უზენაეს სასამართლოში და სხვ.

თავისუფალი გაკვეთილების პროგრამის ფარგლებში გრანტი მოიპოვეს და უკვე დაფინანსდა ოშორის, იდუმალის, ნაქალაქევის, აწყვიტის, ტოლოშის, დამალის საჯარო სკოლების მიერ წარდგენილი პროექტები.

აქტიურ რეჟიმში უხდებათ საქმიანობა მასწავლებლებს პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალი სქემის მოთხოვნათა შესაბამისად. ამაში მათ უდიდეს დახმარებას უწევს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. თითქმის ყოველი კვირა დატვირთული იყო ტრენინგებითა და სხვა აქტივობებით, რომელიც მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას ემსახურება.

უახლოესი გამოწვევაა გამოსაშვები გამოცდები საჯარო სკოლებში. გამოცდები ცენტრალიზებულად ტარდება, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს უკვე მივაწოდეთ შესაბამისი ინფორმაცია, დარეგისტრირებულია და გაფრთხილებულია ყველა კურსდამთავრებული, ინსტრუქციის შესაბამისად მზადდება საგამოცდო ცენტრებად შერჩეული სკოლები.

როგორც წინა წლებში, წელსაც გვყავს, სავარაუდოდ, ოქროსა და ვერცხლის მედლის კანდიდატები

რამდენიმე საჯარო სკოლაში.

წინასწარი მონაცემებით, წლევანდელი კურსდამთავრებულების რაოდენობას გადააჭარბებს 2017-2018 სასწავლო წლის პირველკლასელთა რაოდენობა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სასიხარულოა.

ტრისტან მურადაშვილი
ასპინძის საგანმანათლებლო
რესურსცენტრის უფროსი

მეტი ლამპიონი – ასპინძაში

ბოლო პერიოდში მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა დაბისა და, საერთოდ, მუნიციპალიტეტის სოფლების შემდგომი აღმავლობისა და განვითარებისათვის. ადგილობრივ მოსახლეობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ამის შესახებ, რაიონში შემოსული სტუმარი, ტურისტი თუ ექსკურსანტი, მაშინვე შეამჩნევს იმ დიდ წარმატებულ სამუშაოებს, რომლებიც ამჟამად ხორციელდება რაიონის საკეთილდღეოდ და ყველა, ვისაც მხედველობა, გონება და განსჯის უნარი აქვს, თვალნათლივ დაინახავს, რომ ჩვენი პატარა რაიონი, ადრე სხვა რაიონებისაგან რომ არაფრით არ გამოირჩეოდა, ნამდვილ სამშენებლო პოლიგონად იქცა; გაჩირაღდნებულია დაბის ქუჩები, კულტურისა და დასვენების ლამაზად მოწყობილი პარკი, სადაც გვიანობამდე ხალხმრავლობაა და ყველასათვის საყვარელ დასასვენერბელ ადგილად იქცა, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში.

ჩვენი სამსახურის თითოეულ თანამშრომელს, ნამდვილად ეამაყება, რომ დაბისა და, მთლიანად, სოფლების განათების საქმეში გამართულ მუშაობას ჩვენი მოკრძალებული, მაგრამ დაუღალავი მუშაობაც განაპირობებს, რომელიც მომსახურებას უწევს არა მარტო დაბის ქუჩების განათების საქმეს, არამედ – რუსთავის, იდუმალის, ოთის, დამალის, ნიჯგორის, ტოლოშის, ხერთვისის, გელსუნდის, თმოგვის, ნაქალაქევის, მირაშხანის ცენტრალური უბნების განათებას.

აღსანიშნავია, რომ მარტო მიმდინარე წელს ცენტრალური ვარძიის ქუჩის ძირითად მონაკვეთზე შეიცვალა დეკორატიულ კედლებზე არსებული ძველი ლამპიონები და დამონტაჟდა ახალი, თანამედროვე ნათურები. რად არ ღირს იმის აღნიშვნაც, რომ დაბაში გამავალ ცენტრალურ მაგისტრალზე – სოფელი იდუმალიდან ჩიხორიშამდე დამონტაჟდა გარე განათება. განათება გაკეთდა აგრეთვე ე.წ. თეთრი ხიდიდან რაგბის სპორტკომპლექსამდე. დაბაში არ არის დარჩენილი არცერთი ქუჩა, ჩიხი თუ მოედანი, განათების გარეშე რომ იყოს დარჩენილი. ბოლო პერიოდში ჩავამატეთ აგრეთვე ბოძები და დავამონტაჟეთ ლამპიონები ერეკლე მეორის, ყაზბეგის, სანაპიროს, შალვა ახალციხელის, ჯავახიშვილის, ხვილიშის, ვარძიის და ერკოტის ქუჩების, უბნების და ჩიხების მისასვლელებში.

მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელშეწყობით და დიდი დახმარებით ჩვენი შრომითი კოლექტივი მომავალშიც ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ დაბაშიც და მთელ რაიონშიც ღამის განათების სისტემა გამართულად მუშაობდეს, პერიოდულად განახლდება ელექტრო გაყვანილობის სისტემა, მრავალი ახალი ლამპიონი შეემატება ჩვენს დაბასა და რაიონის ყველა სოფელს – კეთილმოწყობილი, მოასფალტებული, განათებული ქუჩები ხომ სტუმრისთვის საუკეთესო სავიზიტო ბარათია.

ვასილ ბერიძე,
აიპ-ი გარეგანათება „ასპინძის“ უფროსი

ხვნა-თესვის სამუშაოები დასასრულს უახლოვდება

2017 წლის საგაზაფხულო სამუშაოები ასპინძის მუნიციპალიტეტში დაგვიანებით, მაგრამ ორგანიზებულად დაიწყო, რაც განპირობებული იყო გაზაფხულის ცივი და წვიმიანი ამინდების გამო. მოსახლეობა, მიუხედავადი ცუდი ამინდებისა, დაგვიანებით, მაგრამ მაინც ახერხებს საგაზაფხულო სამუშაოების ჩატარებას. მიმდინარე წელს ხვნა-თესვით სამუშაოებში ჩართულია როგორც შპს „მექანიზატორის“, ასევე კერძო მფლობელობაში არსებული ყველა სახის სასოფლო სამეურნეო ტექნიკა. ცნობისათვის: ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ირიცხება 4849 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწის ფართობი, რომლის დამუშვება მცირედით, მაგრამ ყოველწლიურად მაინც მატულობს. მაგალითისათვის, – თუ 2012 წლისთვის მოხნული იყო 1395 ჰექტარი, მიმდინარე 2017 წელს – (25 მაისის მდგომარეობით) მოხნულია 2350 ჰექტარი. ეს კი მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის.

ასევე ამ პერიოდისათვის დაითესა 2030 ჰექტარი მიწის ფართობი, მათ შორის – 947 ჰექტარი კარტოფილი, 424 ჰექტარი ქერი, 385 ჰექტარი ხორბალი და სხვა. ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხვნა-თესვს სამუშაოები დასასრულს უახლოვდება.

კარტოფილის ჩრჩილი

სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის დიდი ნაწილი, ჩვენთან, მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, ინტენსიურად მისდევს მეკარტოფილეობის განვითარებას. მარტო გასული წლის მონაცემებით კარტოფილის ნათესმა ფართობებმა 117 ჰექტარი შეადგინა. შესაბამისად, ბოლო წლებში, საქართველოში კარტოფილის დაავადებებმაც ფართოდ იჩინა თავი – გაჩნდა განსაკუთრებით საშიში ისეთი საკარანტინო დაავადებები, როგორებიცაა – კარტოფილის მურა სიდამპლე, ალტერნარიოზი, ფიტოფტოროზი, აგრეთვე საკარანტინო მავნებელი – ჩრჩილი.

კარტოფილის ჩრჩილი მრავლდება როგორც მინდორში, ასევე საწყობებშიც. გარდა კულტურული მცენარეებისა, იგი იკვებება ძაღლყურძენასებრთა ოჯახის წარმომადგენელი სარეველა მცენარეებით. კარგად იტანს დაბალ ტემპერატურას. ეს თვისებები კი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მის აკლიმატიზაციასა და გამრავლებას.

მავნებლის კვერცხის აღწერა:

მავნებლის კვერცხი ბრჭყვიალა, თეთრი ფერისა და ოვალური ფორმისაა. მისი დიამეტრი დაახლოებით 0.8 მმ-ია.

მავნებლის მატლის აღწერა:

მავნებლის მატლის თავი მუქი ყავისფერია, შავი ფარებით, სამი ჯაგრით ცრუფეხების ფუძეებში. ქვედა მხრიდან, მუცლის მეორე სეგმენტზე, აქვს ექვსი მუქი ფარი. ზრდასრული მატლის სიგრძე დაახლოებით 10-12 მმ-ია და ვარდისფერი ან მოყვითალო თეთრი ფერისაა.

მავნებლის აღწერა:

პეპლის სიგრძე გაშლილი ფრთებით 12-16 მმ-ია. მუცელი ქვედა მხრიდან – მკრთალი ნაცრისფერია, დორსალური მხრიდან კი მოყვითალო ნაცრისფერი. წინა ფრთები ვერცხლისებრი ნაცრიფერია, უკანა კიდეზე მუქი ლაქებით.

გამრავლება მინდორში:

პეპლები მინდორში კვერცხს კარტოფილისა და ძაღლყურძენასებრთა ოჯახის წარმომადგენელ სხვა მცენარეთა ფოთლების ქვედა მხარეზე დებენ. კარტოფილის შენახვის პერიოდში მავნებლის პეპელა კვერცხს დებს კარტოფილის ტუბერის კვირტებზე. კვერცხიდან გამოჩეკილი მატლები იჭრებიან ტუბერში და აზინებენ მის რბილობს.

სიმპტომები:

მცენარის ფოთლებზე წარმოიქმნება ნაღმები. გარა ამისა ძლიერ ზიანდება მცენარის ყუნწები და ღეროები. ტუბერის კანი, მატლის შეჭრის ადგილას, ვარდისფერ, ან იისფერ შეფერილობას იღებს. ასევე ტუბერის ამ ადგილებში გროვდება მატლის ექსკემენტები.

პრეპარატის შერჩევა:

შეარჩიეთ კონტაქტურ-ნაწლავური მოქმედების ინსექტიციდი და შეაზავეთ პრეპარატი წყალთან. არ შეეხოთ პრეპარატს დაუცველი ხელებით.

შეწამვლა:

შეწამლეთ კარტოფილი დაავადების პირველივე ნიშნების გამოჩენისთანავე. მავნებლობის პერიოდი დაბალ ზონაში აპრილ-მაისია, მაღალ ზონაში – ივნისი-სექტემბერი. დაიცავით პესტიციდების გამოყენების წესები და ვადები. გამოიყენეთ სპეცტანსაცმელი.

ოლღა ბერიძე,
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
ასპინძის საინფორმაციო
საკონსულტაციო სამსახურის
მთავარი სპეციალისტი

წარსულის ფურცლები

1963 წელი. ასპინძის საშუალო სკოლის მოსწავლეები ასპინძის კოლმეურნეობაში სიმინდის აღების დროს

სავაჭრო ფარდული დაიდგა

უკანასკნელ პერიოდში ბევრი სასიკეთო ძვრები ხდება ასპინძის სინამდვილეში. დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაბის იერსახის გაუმჯობესებას და თვალშისაცემია მოსახლეობის მომსახურების კულტურის დონის ამაღლებისათვის ზრუნვა. ტურისტული სეზონის დაიწყებამაც მეტი საზრუნავი გაუჩინა მუნიციპალიტეტის მესვეურებს.

გვახსოვს, ამ ცოტა ხნის წინ, ასპინძელები, ხშირად გამოხატავდნენ საყვედურებს, რომ დაბის ცენტრში, იქ, სადაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობდნენ, ანტისანიტარია იყო გამეფებული.

ეს გარემოება მხედველობაში მიიღო მუნიციპალიტეტის გამგეობამ და, ამ ცოტა ხნის წინ, ე.წ. ცენტრის წყაროსთან, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავაჭრო ფარდული ჩადგა, რითაც საშუალება მიეცათ გარე მოვაჭრეებს კულტურული მომსახურება გაუწიონ როგორც დაბის მოსახლეობას, ასევე დაბაში გავლით მყოფ მოქალაქეებსაც.

საკ. ინფორმაცია

ლიმილის ყუთი

მეზობლობაზე ასეთი უნდა

ასპინძაში, სააკაძის ქუჩაზე, ცხოვრობდა რაიონში კარგად ცნობილი პიროვნება – პოლკოვნიკი ლავრენტი გიორგაძე, რომელიც კარგ მეურნედაც ითვლებოდა. ყოველთვის სანიმუშოდ უვლიდა ეზო-კარმიდამოს.. როგორც სხვა მეზობლებს, ტროტუართან, ღობის გასწვრივ, გაყოლიებაზე, ჭანჭურის ხეივანი ჰქონდა გაშენებული. ბოლო ხანს, პოლკოვნიკი, მეუღლისგან, ხშირად ღებულობდა საყვედურს, ჭანჭური დასარხევი რომ ჰქონდა, მაგრამ ასაკის გამო, აღარ შეეძლო მას ხეზე ასვლა.

ერთ დღესაც, კარმიდამოს შემოვლის დროს, შენიშნა, რომ ჭანჭურის თითქმის ყველა ხე ჩამობერტყილი დახვდა, რაც ძალიან ესიამოვნა, მაგრამ ვერ გაეგო, ესოდენ დიდი დახმარება რომელმა კეთილმა ადამიანმა გაუწია...

მის მეზობლად ცხოვრობდა ასევე რაიონში კარგად ცნობილი, ქეიფის მოყვარული პეტრე მელიქიძე, ტანად ბრგე და მძიმე წონის, რომელიც იმხანად, რაიკავშირის მთავარ ბუხჰალტრად მუშაობდა და, თურმე, ერთ-ერთი მორიგი ქეიფიდან ისე მთვრალი დაბრუნებულა შინ, რომ ტროტუარზე ბარბაცით მიმავალი ჭანჭურის ხან ერთ ხეს მიეჯახებოდა ხოლმე, ხან მეორეს და... ასე, ნელ-ნელა, გზა-გზა, სულ შემოებერტყა ჭანჭურის ხეები.

როდის უნდა ნავიდეს ამქვეყნიდან, რომ დავისვენო?

ლავრენტი გიორგაძის მეზობლად ცხოვრობდა განათლების სისტემის დამსახურებული მუშაკი პადვაგან იგითიანი, რომელიც ბატონ ლავრენტისგან განსხვავებით, ბაღჩა-ბაღის მოვლისაგან მწყრალად იყო განწყობილი, ამას ისიც ემატებოდა, რომ ამ ქუჩაზე სარწყავი წყალი დიდ პრობლემას წარმოადგენდა და ამიტომ მეურნეობისკენ არც იხედებოდა, მისგან განსხვავებით, მისი მეუღლე, ქალბატონი ნათელა ტივაძე ამ მეურნეობისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა.

ხანგრძლივი, გვალვიანი ზაფხულის ერთ დღეს, დილაადრიან, უთენია, რის ვაივაგლახით ძლივს გააღვიძა მეუღლე და სთხოვა, – ეზო მოერწყო და იქვე უსენა, რომ მეზობელ ლავრენტის ეზო-კარმიდამოს მორწყვა დაემთავრებინა და ახლა მასაც შეეძლო საკუთარი ეზოს მორწყვა.

მეზობელსა და მეუღლეზე გაბრაზებულმა პადვაგანმა, რომელსაც, როგორც ვთქვით, ძალზე ეზარებოდა მეურნეობის მოვლა, ერთი დაიღრიალა და ღმერთს შესთხოვა – რათა ამქვეყნიდან ორივე რაც შეიძლება მალე წაეყვანა, რათა მასაც დაესვენა და იმათაც.

ალი ხოჯა და ხოჯა ალი

ასპინძის საშუალო სკოლაში გასული საუკუნის 70-იან წლებში დაწყებით კლასებში, ფიზიკა-მათემატიკას ასწავლიდა შესანიშნავი პედაგოგი შალვა სანდოძე. იმ პერიოდში ხშირი იყო განათლების სამინისტროდან სკოლების შემოწმება. ერთხელაც მის გაკვეთილს დაესწრო სამინისტროს წარმომადგენელი. იგი მოსწავლეებს უხსნის, რომ შესაკრებთა გადაადგილებით ჯამი არ იცვლება და მესხეთში გავრცელებული კუთხური გამონათქვამიც დააყოლა: – ალი ხოჯა და ხოჯა ალი ერთიაო.

გაკვეთილის შედეგების გარჩევისას, სამინისტროს წარმომადგენელმა დადებითად შეაფასა პედაგოგის საქმიანობა, თუმცა ვერაფრით გაეგო რას ნიშნავდა მისთვის – ალი ხოჯა და ხოჯა ალი ერთიაო.

დიმიტრი მაღრაძე

საიდუმლო სიზმარი

გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში, როდესაც მთელ საბჭოთა კავშირში დიდი პოლიტიკური რეპრესიები მძვინვარებდა, „შინსახკომის“ ერთმა ერთგულმა მუშაკმა, უცნაური სიზმარი ნახა: ვირზე შემჯდარ ლენინს ხელში მისი კუდი ეჭირა და ქუჩა-ქუჩა დადიოდა, უკან კი, სტვენითა და ხმაურით, უამრავი ხალხი მისდევდა.

შიშით აკანკალებულსა და აფორიაქებულს გამოეღვიძა. ჭირის ოფლში ცურავდა, არ იცოდა, რა ექნა...

მთელი კვირა ისე დადიოდა, დანა პირს არ უხსნიდა: „ვაი თუ მისი სიზმარი ვინმეს გაეგო, მერე რა ეშველებოდა, – ან გააკიმბირებდნენ, ან – დახვრეტდნენ.

ცოლმა შეამჩნია ყოველივე ეს და იმდენი უკირკიტა, რომ, როგორც იქნა, „საიდუმლო სიზმარი“ უამბო და თან დააფიცა: „არავისთან სიტყვა არ წამოგცდეს, თუ არა – დავიღუპებითო“!

საიდუმლო მხოლოდ საიდუმლოდ მცირე ხნით დარჩა. სულ მალე იმ კაცის ცოლმა სიზმრის ამბავი თავის დაქალს უამბო, თან დააფიცა...

მალე დაქალმა „ავადსახსენებელი“ სიზმრის ამბავი ქმარს გაუმხილა, ქმარმა – სამეგობროს...

ცოტა ხანში „შინსახკომის“ ერთგული მუშაკის სიზმარზე მთელი უბანი ალაპარაკდა და, ჰოი უბედურებავ, შინსახკომის ყურამდეც მიაღწია...

რა მოხდა შემდეგ, დანარჩენი მკითხველისთვის მოგვინდია...

როზერტ ბერიძე

წიგნის გარეშე არაა მომავალი

წიგნის გარეშე არაა ცოდნა, ცოდნის გარეშე – კაცობრიობის მომავალი. დღეს, კოსმოსისა და კომპიუტერების ეპოქაში, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა განათლების სისტემის კიდევ უფრო სრულყოფისა და განვითარების საქმეს. მიუხედავად იმისა, რომ, დღესდღეობით, უაღრესად დაბალია ქვეყანაში (და, საერთოდ, მსოფლიოში), წიგნისადმი ინტერესი, რომელიც, ნებსით თუ უნებლიედ, თითქმის კომპიუტერებმა ჩაანაცვლეს, მაინც ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ახალგაზრდობა წიგნისაკენ შემოვაბრუნოთ. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ქვეყანაში უკვე ტრადიციად ქცეული „საბიბლიოთეკო კვირეულების“ ჩატარება. მსგავსი ღონისძიება კი, ახლახან, – 28 აპრილიდან 5 მაისამდე, გაიმართა ასპინძის საბავშვო ბიბლიოთეკის ინიციატივით მუსიკალური სკოლის საკონცერტო დარბაზში. ლიტერატურულ-მუსიკალურმა კომპოზიციამ – „გზა პოეტისა“ – არჩილ სულაკაურის შემოქმედებას მიეძღვნა, რომლის წამყვანები იყვნენ საბავშვო ბიბლიოთეკის თანამშრომლები ნელი გოგოლაძე და ლიანა დათაშვილი.

თითოეული ღონისძიება, ბუნებრივია, დიდ მხარდაჭერასა და ენერგიას მოითხოვს. შეუძლებელია დაკვირვებულ თვალს არ გამოეპაროს ოთარ ცინაძის მხარდაჭერაც, რომელიც ტექნიკურად აფორმებდა ამ ღონისძიებას.

როგორც ყოველთვის, მეტად სასიამოვნო საღამო გვაჩუქეს დაბა ასპინძის საბავშვო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარებმა.

არ შემიძლია ყურადღება არ გავამახვილო მუსიკალურ მხარეზე, რომელიც შესანიშნავად წარმართეს ცირა საქიძემ და ბექა ზედგინიძემ, რომლებმაც სხვა ეშხი და სილამაზე შესძინეს ისედაც შესანიშნავ ღონისძიებას.

დიდი მონდომებითა და საშემსრულებლო აქტივობით გამოირჩეოდნენ ბიბლიოთეკის მუდმივი მკითხველები დალი ბაიბურთიანი, მანანა ზედგინიძე, ალეკო და ნიკა დიაკონიძეები, ფიქრია და ლევან გიგაშვილები, მარი ბერიძე და მარი კაპანაძე.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო პატარა შემსრულებელების მიერ წარმოდგენილი თეატრალიზებული წარმოდგენა – „საღამურას თავგადასავალი“ დალი ბაიბურთიანის, მარი მაგრაქველიძის, თამარ ცინაძის და მარი ზაზაძის მონაწილეობით, რომელიც მოამზადა დაბა ასპინძის თავისუფალი თეატრის რეჟისორის ასისტენტმა მარეხი დათაშვილმა.

ბევრი საინტერესო ღონისძიება ტარდება როგორც ცენტრალური რაიონული, ასევე საბავშვო ბიბლიოთეკების ინიციატივით და ამიტომაცაა, რომ ყოველთვის მათ მიერ ჩატარებულ თითოეულ ღონისძიებას არც დამსწრე საზოგადოება და არც ახალგაზრდობა აკლია. ეს ღონისძიება კი განსაკუთრებული იყო იმითაც, რომ, როგორც ითქვა, წარმოდგენილი იქნა ყველასათვის საყვარელი საბავშვო მწერლისა და პოეტის, რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის არჩილ სულაკაურის ცნობილი ნაწარმოებები, რომელთა კიდევ ერთხელ მოსმენა, ისიც ნორჩი დეკლამატორების მიერ, სასიამოვნოდ მოსასმენი და შთამბეჭდავი იყო.

ნელი ბერიძე,
ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მეთოდისტი

სპორტი

ვეტერანი სპორტსმენის დაფასება

ამა წლის 15 მაისს უჩვეულო განწყობა იყო ასპინძის საფეხბურთო მოედანზე. შეხვედრის ორგანიზატორები და იქ შეკრებილი საზოგადოება დიდი ინტერესით ელოდა ვეტერანი ფეხბურთელის გივი ნემსაძის გამოჩენას, რომელსაც დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. ვიდრე იგი გამოჩნდებოდა, სტადიონზე, „ვარძიიის“ ვეტერანი ფეხბურთელები – **ტარიელ გელაშვილი, დავით კობერიძე, თემურ ბერიძე, როლანდი ნარიმანიძე, გიორგი ცინაძე** შემოვიდნენ და ოვაციებით შემოუძღვნენ იუბილარ ფეხბურთელს, მერე პოზიციები შეიცვალეს და ბურთიც გაათამაშეს.

მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, სტადიონი ვერ იტევდა გულშემატკივრებს, – როგორც ასაკიან ადამიანებს, ასევე ახალგაზრდებსაც.

ასპინძის საფეხბურთო გუნდის – „ვარძიის“ ისტორია გასულ საუკუნეში, კერძოდ, 1959 წლიდან დაიწყო, რომელიც ჩამოყალიბდა სპორტის მხურვალე გულშემატკივრის, სპორტსმენისა და დამსახურებული მასწავლებლის **ამირან ლოლაძის** ინიციატივით (იგი გუნდის პირველი მწვრთნელიც იყო) და, იმხანად, რაიონის თავკაცის, **ლევან ისაკაძის** დიდი მხარდაჭერით (სპორტკომიტეტის თავმჯდომარე არტაშ ნახაპეტიანი). გუნდის პირველ კაპიტნად დაიმიშნა რაიონში საუკეთესო ფეხბურთელი **ჯუმბერ ფოცხვერაშვილი**. გუნდის შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: მეკარე **თამაზ ბერიძე**, ფეხბურთელები – **გაიოზ ბერიძე, გივი ნემსაძე, ნოდარ გიორგაძე, გურამ ბერძენიძე, სულიკო მელიქიძე, ოთარ არსენაშვილი, ლოვა ტონაკანიანი, ვანია ლოგინოვი.**

ძველი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ „ვარძიის“ წარმატებული მატჩები რესპუბლიკურ ჩემპიონატებში, რომელიც ყოველთვის წარმატებულ გუნდად ითვლებოდა და გათამაშების ცხრილში, ხშირად, პირველ სამეულში შედიოდა, ერთხელ კი საქართველოს ჩემპიონებიც გახდნენ და, რა თქმა უნდა, ამაში დიდი წვლილი ბატონ გივისაც მიუძღვოდა, რადგან ვეტერანმა ფეხბურთელებმა ძლიერი ფუნდამენტი ჩაუყარეს რეგიონის ერთ-ერთი წარმატებული ფეხბურთელთა გუნდის ჩამოყალიბებას და ახალი თაობების აღზრდას. ამიტომაც იყო, რომ ჩემპიონატები, რომელიც ხშირად იმართებოდა ასპინძის სტადიონზე, გულშემატკივრებით იყო გადაჭედილი, სპორტის ეს სახეობა კი – განსაკუთრებით წახალისებული.

გივი ნემსაძე მთელი თავისი სპორტული კარიერის მანძილზე ყოველთვის აქტიური, საიმედო ფეხბურთელი და, რაც მთავარია, გუნდური მოთამაშე იყო, რაც ამ გუნდის წარმატებებზეც აისახებოდა.

წლების მანძილზე ახალ-ახალი ფეხბურთელებით ივსებოდა „ვარძია“. დღეს-დღეობით ამ „პირველი მერცხლებიდან“, სამწუხაროდ, მხოლოდ სამი წარმომადგენელია ცოცხალი და სწორედ ამიტომ იყო ამ ყველაფრის გახსენება მეტად შთამბეჭდავი.

ურიოდე წელში ასპინძის საფეხბურთო გუნდ „ვარძიას“ საიუბილეო – 60 წელი უსრულდება და, იმედს ვიტოვებთ, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობა სათანადოდ აღნიშნავს ამ თარიღს.

ახლა კი, კიდევ ერთხელ, სულითა და გულით გვინდა მივულოცოთ ბატონ გივი ნემსაძეს ღირსეული – 80 წლის საიუბილეო თარიღი და ვუსურვოთ დღეგრძელობა, ჯანმრთელობა და მშვიდი სიბერე.

სპორტკომიტეტის სახელით,
გიორგი ცინაძე

რედკოლეგია